ბრძანება: **ბ41.41211414**

თარიღი: **21/05/2021**

**სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 19 მაისს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №40 -402113975 მომართვაზე (სარეგისტრაციო №12-41211406) -41 ,, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან / და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრების საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 19 მაისს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №40-402113975 მომართვაზე (სარეგისტრაციო №12-41211406)-41 ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრების საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

**საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს $106^1$ მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის, $106^2$ მუხლის მე-3 ნაწილის, $106^5$ მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 21 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრების საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა - ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

3. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2021 წლის 18 ივნისამდე.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 ივნისამდე.

5. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრების საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, განსახილველად გადაეცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს – თათია ჯინჯოლავას და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს – ვეფხვია რუსიას.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

ბადრი კალანდარიშვილი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი